

სახალითა და საზოგადო სამინისტრო



საბჭ. რესპუბლიკის

მუშაობა და გლობა მთავრობის

კანონის და განკარგულებაზე კანონი

სახალითა კომისართა საბჭოს და ეკონომიკის საბჭოს

სამმართველობის გამოცემა

1934 წ. ნოემბრის 10.

№ 31

ც ფ ი ღ ი ს

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი .

ა რ ე წ ვ ე ლ ა ბ .

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი .

232. საქართველოს სსრ ადგილობრივი და მისი ადგილობრივი ორგანოების მოწყობის შესახებ.
ვაჭრობა. მომარაგება.

233. საკოლმეურნეო ვაჭრობისა და სპეცუ-
ლიკასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

234. 1934 წლის მოსავლის ჩასაბარებელი
ამბაქოს ხარისხოვნების მიხედვით პურის გა-
დამდების დიფერენციაციის თაობაზე გა-
მომტული დადგენილების შეცვლის შესახებ.

კომუნიკაციის და საბინაო მეურნეობა.

235. ქ. ტფილისის საბინაო მშენებლობის შესახებ.

236. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე
1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი
ჩატარების თაობაზე“ გამოცემული დადგენილე-
ბის 91 მუხლის მე VIII პუნქტის შეცვლის შე-
სახებ.

237. 1934 წლის ერთპიროვნული საგლებო
მეურნეობებისათვის დაწესებული ერთდროული
გადასახადის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე
ჩატარების შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

238. სნაიპერების შეღაფათების შესახებ.

2 6 0 7 3 0 13 3 0 0

233. ରୁଳଗନ୍ଧିରେହା ଓ.ଏ.କ. ରୁ ଲ.କ.ବ.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარისა და
მისი ადგილობრივი ორგანოების მოწყობის შესახებ.

„მოკავშირე“ და აფტონიამიურ რესპუბლიკებში ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატების მოწყობის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტის 1934 წ. ავეისტოს 10-ის დადგენილების თანახმად (სსრკ-ის კან. კრ. 1934 წ. 42 №-ი, მუხ. 328) და „ა/ქსფსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მოწყობის შესახებ“ გამოცემული იმიტრავეკანიის ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტის 1934 წ. სექტემბრის 14-ის დადგენილების შესაბამისად („ზარია კოსტოკის“ 219 №-ი, 1934 წ. სექტემბრის 20-ისა), სრულიად საქართველოს ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღენენ:

წინადაღება მიეცეს ავსაზეთის ასსრ-ისა და აქარისტანის ასსრ-ის ცენტ-
რალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—მოაწყონ ამავე მიზნით ამ რესპუბლიკე-
ბის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატები, ხოლო სამხრეთ-
ისეთის აგტონმიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა
მოაწყოს ადგილობრივი მრეწველობის სამოქან სამშაროთველო.

დამოუკიდებელ სააღმინისტროციო-სამეცნიერო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭომთან და განვითარებული მრეწველობის მქონე რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებანი.

წინიდადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—შეიმუშაოს, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებასთან შეთანხმებით, იმ რაიონების სია, სადაც მოწყობილ უნდა იქნეს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებანი და

წარმოდგენოს ეს სია ათი დღის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს დასამტკიცებლად.

2. საქართველოს სსრ აღგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის დაცვისრიცხვი:

ა) აღგილობრივი მრეწველობის ხელმძღვანელობა, მოწესრიგება, დაცვება და აღრიცხვა, აგრეთვე უშუალოდ ქვემდებარე საწარმოთა, სამეცნიერო ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მართვა;

ბ) აღგილობრივი მრეწველობის ხასალ წარმოებათა და ხასალ მშენებლობათა მოწყობის და რეკონსტრუქციის ხელმძღვანელობა;

გ) ქვემდებარე მრეწველობის მომარაგებისა და გასაღების ხელმძღვანელობა; ფასების სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელება და სხვა მისთ.;

დ) სარეწაო კოოპერაციისათვის მუშაობაში მეთვალყურეობისა და დახმარების გაწევა;

ე) აღგილობრივი მრეწველობისათვის კადრების მომზადების საქაოს მოწყობა.

3. გაუქმებულ იქნება:

ა) საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი;

ბ) მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქ. სსრ სქს-თან) სამმართველო;

გ) საქართველოს სსრ ეკონომიკურ საბჭოსთან არსებული შინამრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის კომიტეტი.

4. მსუბუქი, მძიმე და საჭამალო მრეწველობის რესპუბლიკანური ქვემდებარეობის ყველა საწარმო და აგრეთვე ყველა სამცნობო-საკვლევო დაწესებულება და სასწავლებელი, რომელიც კი მომსახურეობას უწევს რესპუბლიკანური მნიშვნელობის მსუბუქ, მძიმე და საჭამალო მრეწველობას, გადაეცეს საქართველოს სსრ აღგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—ათი დღის ვადაზე:

ა) დაამტკიცოს საქართველოს სსრ აღგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადასაცემ საწარმოთა და დაწესებულებათა სია;

ბ) დაადგინოს სია რესპუბლიკანური ქვემდებარეობის საწარმოთა, რომელიც უნდა გადაიცეს ავტონომიური რესპუბლიკების აღგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებისა, ავტონომიური ოლქის აღგილობრივი მრეწველობის სამმართველოს, საქალაქო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების გამგებლობაში.

გ) მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს აპარატი, აგრეთვე უკვე გაუქმებული მომარაგების სახალხო კომისარიატის აპარატის ის ნაწილი,

რომელიც მომსახურეობას უწევდა საქამადო მრეწველობას, გადაეცა საბჭოს კომისარიატს.

6. მიერთოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—დამტკიცას 5 დღის ვადაზე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სტრუქტურა, შტატი და ხარჯთაღრიცხვა 1934 წლისათვის.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—წარუდგინოს ერთი თვის ვადაზე საქართველოს სსრ საკანონმდებლო ორგანოებს:

ა) ამ სახალხო კომისარიატის დებულების პროექტი;

ბ) საქართველოს სსრ კანონმდებლობაში შესატან იმ ცვლილებათა შესახები დადგენილების პროექტი, რაც გამომდინარეობს ამა დადგენილებიდან.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოაღილე გ. ყურულა შვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდიგანი თ. ულენტი.

1934 წ. სექტემბრის 16.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გან. „კომუნისტის“ 221 №-ში 1934 წ. სექტემბრის 23.

ვაჭრობა. მომარაგება

233. დადგენილება ს.კ.ს.

**საკოლმეურნეო ვაჭრობისა და ხპევულაციასთან ბრძოლის
ღონისძიებათა შესახებ.**

იმ მიზნით, რათა ბრძოლა გაეწიოს გაძლიერებულ სპეციალურიასა და საკოლმეურნეო ვაჭრობის შესახებ გამოცემული, პარტიისა და მთავრობის დირექტივების დამახინჯებას და დარღვევას, რაც გამოიხატება:

ა) ვაჭრობის განსაზოგადოებული სექტორის სუსტ მუშაობაში იმ მხრით, რომ გავლენა მოეხდინა ბაზარში ფასების შექმნაზე საკონკურსო ფასად დაშხადებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საკუთარი ვაჭრობის მოწყობით;

ბ) ფართო მოხმარების საგლეხო ასორტიმენტის საქონლის შემხვედრი ვაჭრობის არადამატაყოფილებლად მოწყობაში;

გ) სრულიად არასაკმარის ბრძოლაში განსაზოგადოებული სექტორის კალკული ორგანიზაციების გამოსულებთან საქალაქო ბაზრებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესასყიდად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღეცეს:

1. წინადადება მიეცეს კუველა ქალაქისა და კუველა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მომარაგების განყოფილებას:

ა) შეამოწმოს ორი დეკაზის ვადაზე საბაზრო კომიტეტების პირადი დღენილობა და შეცვალოს ბოროტმოქმედებაში შემჩერული ყველა წევრი საბაზრო კომიტეტისა ნაცადი მომუშავეებით;

ბ) დაამუშაოს შემდგომში სისტემატური კონტროლი და შემოწმება საბაზრო კომიტეტის კადრებისა.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი:

ა) შეამოწმოს ორი დეკაზის ვადაზე ბაზარში მომუშავე საფინანსო აგენტების პირადი შედგენილობა და გააძლიეროს ეს შედგენილობა კუალიფიციური ნაცადი მომუშავეებით;

ბ) გააძლიეროს ბაზრებზე სპეციალური პოსტები (საფინანსო აგენტებისა) უშუალო კონტროლის გასაწევად მოვაჭრე წერტებისა და ცალკეული პირებისათვის.

3. დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებს —იხმარონ მკეთრი ღონისძიებანი უბატენტო ვაჭრობის აღმოსაფეხრელად და გააძლიერონ ბრძოლა გასაყიდად აქრძალული საქონლის ვაჭრობასთან, კერძოდ ბავშვების მიერ წარმოებულ ვაჭრობასთან.

4. წინადადება მიეცეს მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამსართველოს:

ა) დააწესოს მილიციის სპეციალური პოსტები საქალაქო და სარაიონო მნიშვნელობის მქონე საკოლმეურნეო ბაზრებში, წარგზავნოს-რა ამ სამუშაოზე უფრო საიმედო, ნაცადი მილიციონერები;

ბ) გააძლიეროს ქალაქების განაპირია ადგილებში საზედამხედველო პოსტები, რათა სახესპილ აღმოხევრილ იქნეს ჩარჩების მიერ გლეხებისაგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა, განსაკუთრებით ბაზრობის დღეებში;

გ) გამოყოს დიდი ბაზრობისა და იარმუკობის დღეებში მილიციის განსაკუთრებულად განწესებული სამილიციო გუნდები საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად და დანაშაულობისა და სპეციალურიასთან საბრძოლებელად;

დ) უზრუნველყოს სპეციულაციის შესახები საქმეების რიგს გარეშე გამოკვლევა.

5. იუსტიციის სახალხო კომისარიატმა:

ა) შეამოწმოს ერთი დეკადის ვადაზე სასამართლოსა და საგამოშტებლო ორგანოების წარმოებად გადაცემული, სპეციულაციის შესახები საქმეების მდგრადი მიზნების გამოსაკვლევად, რაც ამრკოლებს ამ საქმეების დამთავრებას;

ბ) მოაწყოს აპას იქით სპეციულაციის შესახები საქმეების სასწრაფო განხილვა და გადაწყვეტა;

გ) წარმოუდგინოს ა/წ. ოქტომბრის 1-თვის სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება იმის თაობაზე, რაც სამისოდ იქნება გაკეთებული;

6. პროდუქტების რეინის გზებით აკრძალულ გადაზიდვისთან ბრძოლის
მიზნით წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგა-
ნიებს—გააძლიერონ კონტროლი მგზავრების მიერ ხელბარების ხაზით გადასა-
ზიდად აკრძალული ტვირთის გადაზიდვისათვის, ეკონომ რეგულირების წესების
მიხედვით.

7. საქართველო და სარაიონო მომარავების განყოფილებებში, კონკერაციისა
და სახვაჭრობის მომუშავეთა კავშირთან და საკურო-კონკერატიულ აქტივ-
თან ერთად, უნდა ჩაატარონ ორი დეკადის ვადაზე საკოლმეურნეო ღუქნების
პირადი შედეგნილობის შემოწმება სპეციალური ლემენტებისაგან გასაშემნ-
დად და ამას იქით აღარ მიუშვან მაღაზიების გამგებად, გამყიდველებად და
სხვა მისთ. უწყებული კოლექტიური მეურნეობის არაშევრი.

საკოლმეურნეო ღუქნის გამგე ინიშნება სათანადო რაიონის სამიწათმოქ-
მედო განყოფილების დასტურით. კოლექტიური მეურნეობის არაშევრი შეიძ-
ლება დაინიშნოს მხოლოდ ბუხბალტრისა და მოანგარიშის თანამდებობაზე.

8. სასტაციონარო წერტებისათვის დარაბის მისაღებად დაევალოს კო-
ლექტიურ მეურნეობებს—შეადგინონ გასახსნელად განზრახსული წერტის სავაჭრო-
საფინანსო გეგმა და, სამიწათმოქმედო განყოფილებასთან შეთანხმების შემდეგ,
წარუდგინონ იგი მომარავების დაგილობრივ განყოფილებას, რომელიც, ამას-
თან შესაბამისად, განსაზღვრავს ვადას, რა ვალითაც გაიხსნება დარაბა.

9. რათა საკოლმეურნეო ვაჭრობა თავმოყრილ იქნეს ბაზრებზე, დარაბები
კოლექტიურ მეურნეობებს სასტაციონარო წერტისათვის უნდა ეძლეოდეთ, ძი-
რითადად, ბაზრებში.

10. წინადადება მიეცეს მომარავების სარაიონო განყოფილებებს, სა-
რაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებათა დახმარებით, შემოილონ პრაქტიკად
საკოლმეურნეო წერტების მოწყობა ერთი და იგრვე რაიონის რამდენიმე კო-
ლექტიური მეურნეობის საერთო ვაჭრობისათვის.

11. საქართველოს სსრ მომარავების სახალხო კომისარიატში უნდა უზრუნ-
ველყოს ერთი დეკადის ვადაზე სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებანი
საინსტრუქციო დირექტივებით და ფორმებით რაიონებში საკოლმეურნეო სა-
სტაციონარო წერტების (მომქმედი და ახლად გასახსნელი) საგაჭრო-საფინანსო
გეგმების შედეგნისათვის; ამასთან ერთად უნდა მიაწოდოს მომარავების საქა-
ლაქო და სარაიონო განყოფილებებს დირექტივები ახალი საკოლმეურნეო სა-
სტაციონარო წერტების გახსნის წესის შესახებ.

12. დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო ბანკის
ორგანიებს—იქნიონ სასტაციი ზედამხედველობა, რათა საკოლმეურნეო სასტა-
ციონარო წერტები იცავდნ დადგენილ წესს—გაჭრობით მიღებული თანხების
უფელ დღე სახელმწიფო ბანკის სალაროვებში ჩაბარებისას.

13. დაევალოს საქართველო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელ კომი-
ტეტებს—დაუყოვნებლივ გააწყონ ბაზრებში სპეციალური ფარდულები, სასა-

სწერე მეურნეობა და სხვა მისთ. ერთეულ კოლმეურნეობათა და ერთპიროვნული მეურნეობათა განვითარების რომელნ ც თავისი ი გაუჩინობით გავრობზე.

14. საკოლმეურნეო ბაზრებზე შემნვედრი გავრობის წესიერი მოწყობის მიზნით (ქსელი, საქონლის ასორტიმენტი და ხარისხი, გავლენა ფასებზე), წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარტებების სახალხო კომისარიატს— შეამნებოს ა/წ. ოქტომბრის 1-მდე საპროდუქტო და სამრეწველო საქონლის მაღაზიებისა და ლუქნების (როგორც სტაციონარულის, ისე დროიდან-დრომდე მოვაჭრე, ე. ი. ბაზრობის დღეებში მოვაჭრე) არსებული ქსელის მიზანშეწონილება შემხვედრი გავრობისათვის, ამ წერტების როგორც რომელიც მოწყობისა და ადგილ-მდებარეობისა, ისე საქონლის ასორტიმენტის მიხედვით, და წარუდგინოს „საქ-ფონდცუმისიას“ თავისი წინადადებანი.

15. დაევალოს მომარტებების საქალაქო და სარაიონო განყოფილებებს— ჩატარონ ერთი თვის ვადაზე საკოლმეურნეო ბაზრებში შემხვედრი გავრობის შემოწმება— იმ მუშაობის ნაკლოვანება ას გამოსარკვევად და შემდგომში აღმო-საფხვრელად.

16. დაევალოს საქართველოს, სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს, საქართველოს სსრ მომარტებების სახალხო კომისარიატის სისტემასთან ერთად, უზრუნველყოს ერთი დეკადის ვადაზე საანგარიშო ცნობების წარმოდგენა:

- ბაზრებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიზიდვის შესახებ;
- საბაზრო ფასების მოძრაობის შესახებ;
- საკოლმეურნეო სასტაციონარი წერტების ქსელისა და ბრუნვის შესახებ;

დ) შემხვედრი გავრობის ქსელისა და ბრუნვის შესახებ.

17. წინადადება მიეცეს კომპერაციისა და სახვაჭრობის მომუშავეთა კავშირს— ჩატაროს სამუდამოდეო მუშაობაში ქვედა კონტროლის მოწყობა ამადადგენილების აღსრულების შემოწმებისათვის მომარტებებისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და სხვა ორგანიზაციების მიერ, მასური ასსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარებით გავრობის დარცის მომუშავეთა და მოსულ კოლმეურნეობათა და ერთპიროვნულ მეურნეობა შორის.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარის მოადგილე გ. უზრულაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს საქმეთა მმართველის მოადგილე გ. თათეიშვილი.

1934 წ. სექტემბრის 19.

ცფილის.

გამოქვეყნებულია გამ. „კომუნისტის“ 220 №-ზი 1934 წ. სექტემბრის 22.

ლოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს,
რომ:

I. ქ. ტფილისის საბინაო მშენებლობაში განსაზღვრულ მიღწევებთან ერთად, რაც საკუთრივ სახეობისაბჭოს ა/წ. 23/IV დადგენილების შესაბამისად, გამოიხატა არქიტექტურული გაფორმებული კაპიტალური სახლების აშენებით, აგრეთვე ინდივიდუალური ბინების აშენებითა და ამ ბინების მოხერხებული დაგეგმვით და სხვ., ქ. ტფილისის ბინათმშენებლობაში აღინიშნება მოელი რიგი, როგორც ორგანიზაციული, ისე ტექნიკური ნაკლისა, რაც ძირითადად შემჯეგს შეიცავს:

ა) არ არის მყაფიოდ ორგანიზებული ხელმძღვანელობა მთლიანი ბინათმშენებლობის დაგეგმვისა და მოწესრიგების საქმეში, რაც იწვევს სამშენებლო მიერებულების დაქუციაცებას, უდროოდ დაგეგმვას, მუშაობის წარმოების გაჭიანურებას, არასაკმაოდ ჩეგულარულ დაფინანსებას, მასალის გადატან-გადმოტანასა და სხვ.;

ბ) ბინათმშენებლობის დაწყებულ მიერების მრავალრიცხოვნება და წვრილმანობა, არსებული მშენებელი ტრესტების სისუსტე და ულონობა, მიწის უმნიშვნელო ნაკვეთების დათმობა ქალაქის მომავალი დაგეგმვისა და ყოფა-ცხოვრების სოციალისტური რეკონსტრუქციის მოთხოვნილებისათვის ანგარიშგაუწევ-ლად (საბავშვ ბალები, ბაგები, კლუბები, სამრეცხაოები და სხვ.);

გ) მთლიანი თვალსაზრისის უქონლობა პროექტების დამტკიცების დროს და მთელი რიგი ტექნიკური შეუსაბამობა სამუშაო ნაბაზებში (სხვადასხვაობა გარე და შინა კედლების სისქეთა შორის მასალის გადახარჯვით, საშენი მასალის არარაციონალური და არაეკონომიური გამოყენება და სხვ.);

დ) არასაკმაო ყურადღება ბინათმშენებლობისთვის ინდუსტრიალური ბაზის შექმნის საკიროებისაბმი და ავტოტრანსპორტის, საინვენტარო ხარისხების, სასაწყობო ეზოების, დამხმარე საწარმოებისა და სხვ. მექანიზაციის თითქმის სრული უქონლობა;

ე) სამოსახლო ფართობების არასაკმაო წინასწარი შემზადება (მასასელელი გზები, წყალსადენი, კანალიზაცია);

ვ) სამშენებლო კონტროლის სისუსტე, არასაკმაო ტექნიკური მეთეალურება და სამუშაოთა მწარმოებლების დაბალი კვალიტეტია, აგრეთვე შესწორებათა და აღნიშნულ ნაკლა გასწორების შემოწმების უქონლობა, რის შედეგაც სხენებული ნაკლოვანებანი არ სწორდება. სამშენებლო ელემენტარულ მოთხოვნათა უგულებელყოფის მყაფიო მაგალითს წარმოადგენს საცხოვრებელი სახლი დოლაბაურში, რომელშიც მდგურები ამ წილიანებერის წინად იქნენ შესახლებული, ხოლო სახლს კი არ აქვს სამზარეულო, ფეხისალაგი, ელექტროგანთება და ზოგიერთ ფანჯარას მინებიც კი აკლია; აღსანიშნავია აგრეთვე საცხოვრებელი სახლი ლომინაბის ქუჩაზე, სადაც კიშერის რეინაბეტონის დირეჟიმოზნექილია და ლამის ჩამოინგრეს;

ზ) ორასაკმიო ყურადღება იდგილობრივი წარმოშობის საშენი ამასთან კონკრეტული კრამიტი, სახურავი ფიქალი, ალებასტრი, კირი) მიზანშეუონილად გამოყენების საკითხისაღმი:

ჰ) ორარაციონალური გამოყენება ფურის ქარჩებისა, რომლებსაც ტექნილოგიური პროცესების წესიერად წარმოებისას, შეუძლია სტანდარტული პროდუქტის მოცემა, ახლა კი ისეთ იგურს იძლევა, რაც ვერ აქვთ ყოფილებს „OCT 5998“ მოთხოვნას:

თ) საქმიოდ არ არის მომარაგებული „OCT“ ის ცხრილებითა და საშენებელი მასალით, როგორც ბინათმშენებლობის საპროექტო ორგანიზაციები, აგრეთვე მშენებელი ორგანიზაციები და ახალმშენები;

ი) საქმიოდ არ არის ბრძოლა გაჩაღებული საკავშირო სტანდარტების შესრულებლობის წინააღმდეგ.

II. აღინიშნოს, რომ ბინათმშენებლობის დაბალი ხარისხისა და მრეწველობის განვითარებისგან ძირითადად მისი ტემპების ჩამორჩენის მიზეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ბინათმშენებლობის საკითხების გარშემო საქმიოდ არ არის მობილიზებული ყურადღება იმ სათანადო ორგანიზაციისა და ცალკეული მუშავებისა, რომლებიც მშენებლობას ხელმძღვანელობენ, რის შედეგადაც:

ა) ბინათმშენებლობა არ არის უსრუცელყოფილი დამტკიცებული პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვით;

ბ) კაპროექტება დაბალი ხარისხისა, და საპროექტო ორგანიზაციების მუშაობაში არ არსებობს დასკავლინა; ამ ორგანიზაციებს არ აქვთ გეგმიანი და ტერიტორია, და მათი სამუშაოების გეგმა არ არის დაკავშირებული პროექტირებული მშენებლობის განვითარების გეგმასთან;

გ) აღნიშნულ კონტრიტებს არ გააჩნიას მტკიცეთ დადგენილი პასუხისმგებლობის გრძნობა საპროექტო მასალის ხარისხისა და დაწესებულ ვადაში მისი ჩაბარებისათვის;

დ) ორადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მუშაობა მშენებლობის ფართობებზე იმ მშენებელი ტრესტებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ, რომლებიც მშენებლობას აწარმოებენ;

ე) მშენებლობის ადგილებზე არ არსებობს დამტკიცებული პროექტები და სამუშაოების ორგანიზაციის გეგმა, რის მიზეზითაც ადგილი აქვს უნაყოფა ცდენას და საშენებელი მასალისა და მექანიზმების ერთი ადგილიდან მეორე ადგილის გადატანას;

ვ) ადგილი აქვს მუშა-ძალების დენადობას იმის გამო, რომ მუშები საკმაოდ უსრუცელყოფილი არ არიან ბინითა და სხვა კულტურული უნაყოფა ცდენას და საშენებელი მასალისა და მექანიზმების ერთი ადგილიდან მეორე ადგილის გადატანას;

ზ) უხეორობა მშენებლობის წარმოების საქმეში აისსნება, როგორც ტექნიკურსონალისა და მშენებელი მუშების დაბალი კვალიფიკაციით, ისე სამუშაოე-

ბის მშენებლებისა და მშენებლობის უფროსების საშენებელი ობიექტების რისხისათვის მტკიცე პასუხისმგებლობის უქონლობით.

III. ამასთან ერთად აღინიშნოს რომ ქ. ტფილისის ბინათმშენებლობის საქმე მიმდინარეობდა მთელ რიგ მეტად არახელსაყრელ პარობებში, რაც ხელს უწლიდა განზრახული გეგმების ნორმალურ შესრულებას.

ბინათმშენებლობისათვის განსაკუთრებულ დაბრკოლებას, რაც იწვევს მშენებლობის გაჭირებას, მისი ხარისხის გაუარესებას და ლირებულების გაძვირებას, წარმოადგენა შემდეგი გარემოება:

ა) მშენებლობის გეგმების დაგვიანებული დაყვანა;

ბ) ფონდირებული და გეგმირებული მასალებით არასაკმაო მომარაგება ბინათმშენებლობისა და მისთვის არასისტემატური მიწოდება ფონდებისა მმ ფარგლებშიც კი, რაც განსაზღვრული იყო ცენტრალურ არგანიზაციების მიერ: „კომუნალური ბინათმშენებლობა“ 1934 წ. 7 თვის „განმავლობაში დაქმაყოფილებულია საფონდო განაწესის 25%“-ით, საქართველოს „ბინათმაცმირის“ მშენებლობა კი – 3%–ით, რანაც გამოიწვია დაბატებითი ხარჯების აუცილებლობა მასალების დასამზადებლად;

გ) მშენებლობაში ნედლი ხის მასალის გამოყენება გაცდენის თავიდან ასაკილებლად;

დ) მასალების ლირებულების გაძვირება გიგმით გათვალისწინებულ ფასთან შედარებით და ტრანსპორტის ხარჯების გადიდების გამო;

ე) მშენებელი ორგანიზაციებისათვის სრულიად არასაკმაო ამჟამად მის განკარგულებაში არსებული მექანიზირებული და ჩეკულებრივი სატრანსპორტო საშუალებანი, ხოლო მატერიალური სახსარი კი ტვირთსაზიდავი პარკის შესავებად არ მოიპოვება;

ვ) არასაკმაო და უწესრიგო მუშაობა რკ. გზის ტრანსპორტისა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი საშენებელი მასალის (კირის, კრამიტისა და სხვ.) ახლო მდებარე რაიონებიდან ტფილისისათვის მიწოდებას;

ზ) ბინათმშენებლობის კუბმეტრის ლირებულების ლიმიტების დაგვიანებული დამტკიცება, რის გამოც საჭირო შეიქნა დადებულ ხელშეკრულებათა გადასინჯვა და გადაანგარიშება მშენებლობის დაწყებიდან რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ბინათმშენებლობაში არსებულ ნაკლთა აღმოფხრის მიზნით, სრულიად საქ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

ა) 1935 წლიდან დაწყებული ტფილისის ბინათმშენებლობა წვრილ, დაქუცმაცებულ ბინათმშენებლობიდან გადავიდეს საცხოვრებელ მსხვილ მასივების შენებაზე, რომლებზედაც თავი მოუყაროს მთელს არსებულ ტექსტის წალა და სახსრებს, ხოლო ამის ზუსტი შესრულებისათვის თვალყურის დევნება გეგმირების დროს დაეკისროს სას. საგეგმო კომისიასა და კომუნ. მეურნ. სას. კომისარიატს, მიწის ნაკვეთების მიცემის დროს კი ქალაქების საბჭოებს;

ბ) განმტკიცებულ იქნეს ფულადი და მასალობრივი წყაროები არსებულ საგეგმო და სამშენებლო ორესტებისა და დაეკისროს მათ აუცილებლად აითვისონ არასამრეწველო მშენებლობის თვალსაჩინო ნაწილი მათი მუშაობის სათანადო რაიონირებით; უზრუნველყოფილ იქნენ ხსენებული ორესტები სამრეწველო ბაზით და დაევალოს მათ სისტემატური ტექნიკური მეთვალყურეობა მათ მიერ ნაწყებ ობიექტებისადმი. აგრეთვე პერსონალური, მატერიალური პასუხისმგებლობის დაწესება თითოეული მუშავისათვის. ამ უკანასკნელისთვის მინდობილ სამუშაოში; საამისო სათანადო ღონისძიებათა შემუშავება დაეკისროს კომუნ. მეურნ. სახკომისარიატს;

გ) მიენდოს ტინსახეობს, კომუნ. მეურნ. სახკომისარიატის წარდგენილობით, 1935 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გაითვალისწინოს სამშენებლო ორგანიზაციებისთვის საჭირო სახსრები (ძირითადი და საბრუნვავი) ინდუსტრიალურ ბაზზე არასამრეწველო მშენებლობის გადასაყვანად: მექანიზაციის გადიდება, სამშენებლო ეზოების მოწყობა, კერძოდ, ტუფის ქვის ცენტრალიზებული დამუშავების მოწყობა ტყილისში, საშენებელი დამხმარე ინვენტარის, ტრანსპორტისა და სხვ. გადიდება;

დ) გაძლიერებულ იქნეს საქ. კომუნ. მეურნ. სახკომისარიატის სამშენებლო კონტროლის ცენტრალური სამმართველო, რათა მან სისტემატურად მეთვალყურეობა გაუწიოს მშენებლობას, შეამოწმოს სამშენებლო ორგანიზაციების მიერ დამტკიცებული პროექტებისა და სამუშაო ნახაზებიდან იმ გადახვევათა და ნაკლო გასწორება, რაც გამოკვლევის შედეგად იყო აღნისული, აგრეთვე უზრუნველყოს მუდმივი კონტროლი საერთო საქავშირო სტანდარტების დაცვისათვის მშენებლობაში;

ე) ქალაქების საბჭოები ბინათმშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების მიჩენისას ანგარიშს უნდა უწევდენ იმ მოთხოვნებს, რასაც ამ მშენებლობას არსებული სტანდარტები და დებულებანი უყენებენ, და იმავე დროს ცდილობდენ ააგონისეთი კომპლექსური შენობები, რომლებიც დააგმაყოფილებენ სოციალისტური რეკონსტრუქციის მიერ საცხოვრებელი ბინებისადმი წაყენებულ მოთხოვნას; ქალაქების საბჭოებმა ანგარიში გაუწიონ აგრეთვე ქალაქების მომავალ დაგეგმასა და ახალი რაიონების ათვისებას;

ვ) წინადადება მიეცეს ქალაქის საბჭოებს, დაამყარონ საშენებელი ფართობების ათვისების წესი მისასვლელი გზების, წყალსადენის, კინალიზაციის, განათებისა და სხვ. წინასწარი გაყვანით;

ზ) წინადადება მიეცეს ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნ. მეურნ. სახკომისარიატებს, იხმარონ საჭირო ღონისძიებანი საშენებელი ადგილობრივი მასალების (კირის, ალებასტრის, სახურავი ფიქალის) წარმოების გასაძლიერებლად;

ჰ) წინადადება მიეცეს ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნ. მეურნ. სახკომისარიატებს მოაწესრიგონ საშენებელი აგურის წარმოების ტექნოლოგიური პროცესები და განავითარონ კრამიტის წარმოება;

თ) მიენდოს სახკომისაბჭოს, დააწესოს ფასი საშენებელ აგურზე მისი მიზნით;

ი) მიენდოს კომუნ. მეურნ. სახკომისარიატს, სოხოვოს შეურნების უმაღლეს საბჭოს, რათა ამ უკანასკნელმა წინადადება მისცეს „სტანდარტს მიტყოც“, უზრუნველყოს საერთო საქაფშირო სტანდარტების ცხრილებით საქართველოს სამშენებლო ორგანიზაციების დროული მომარავება;

კ) მიენდოს კომუნ. მეურნ. სახკომისარიატს, სოხოვოს საქაფშირო ცაკთან არსებულ კომუნ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს, რათა ამ უკანასკნელმა მოაწესრიგოს ტიპური პროექტების აღვილობრივად დროული დაგზავნის საკითხი;

ლ) წინადადება მიეცეს კომუნ. მეურნ. სახკომისარიატს, ტფილისის საბჭოსთან ერთად, ერთი დეკადის ვადაში გამოიძიოს და აღმოაჩინოს დოლაბაურში და ლამინაძის ჟურნაზე აღნავებ შენობათა უზვავესი დაპროექტების კონკრეტული დამნაშავენი და სამართალში მისცეს იკინი;

მ) მიენდოს რესპუბლიკის პროცესორს, გადასინჯოს არასტანდარტული აგურის გამოშვებისთვის სტანდარტიზაციის ორგანოების მიერ აღმრული საქმე (გაერთიან. სახ. სასამართლოს 19/21—11—3 დადგენილება) და დამნაშავებს დაადოს კანონით საავისოდ გათვალისწინებული სასჯელი;

ნ) წინადადება მიეცეს რესპ. პროცესორს, იხმაროს სათანადო ღონისძიება, რათა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ აღმრული საქმეები უპროექტო და უხარჯოთალრიცხვო შენებლობის საშენებელი ნორმებისა და წესების დარღვევის, სტანდარტების დაუცველობისა და არაკეთილხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების შესახებ განხილულ იქნეს სასწავო წესით და ცალკეული პროცესები გამოყოფილ იქნეს, როგორც საჩვენებელი წესის პროცესები.

მიენდოს კომუნ. მეურნ. სახკომისარიატს თვალყური აღევნოს ამ დადგენილების ა, ბ, გ, დ, ე პუნქტების შესრულებას.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი თ. ულენტი.

1934 წ. ოქტომბრის 5.

ტფილისი.

236. დადგენილება ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადახადის ჩატარების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 91 მუხლის მე-VIII პუნქტის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღენს:

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადახადის ჩატარების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კო-

მისართა საბჭოს 1934 წ. ივნისის 15 დადგენილების 91 მუხლის მე-VIII მუხლის
(საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-15 №-ი, მუხ. 139) მიღებულ იქნეს შემდეგი რე-
დაქციით:

„VIII. მეურნეობა კულაპურ მეურნეობად ჩაითვლება, უკეთუ იგი აქირა-
ვებს უაღვეულ შენობებს კერძო მფლობელობის საწარმოსათვის და როდესაც ამ
წყაროს შემოსავალი დღემატება:

ა) 300 მანეთს წელიწადში, როდესაც მეურნეობის საერთო შემოსავალი
700 მანეთზე მეტია;

ბ) საკურორტო იდგილებსა და აგრეთვე ამა დადგენილების 48 მუხლში
ჩამოთვლილ ქალაქებში—500 მანეთს წელიწადში, როდესაც მეურნეობის საერ-
თო შემოსავალი 700 მანეთზე მეტია“.

ამ მუხლის შენიშვნა დატოვებულ იქნეს ძალაში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ცურულაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგილე ბ. ფალავა.

1934 წ. სექტემბრის 11.

ტფილისი.

237. დადგენილება ს.კ.ს.

1934 წელს ერთპიროვნული ხაგლებო მეურნეობებისათვის დაწესებული ერთ-
დროული გადასახადის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ჩატარების
შესახებ.

„1934 წელს ერთპიროვნული ხაგლებო მეურნეობებისათვის ერთდროუ-
ლი გადასახადის დაწესების შესახებ“ გამოცემული სსრ კანონის ცენტრალური
აღმისრულებელი კომიტეტისა და სხახლხო კომისართა საბჭოს 1934 წ. სექ-
ტემბრის 26-ის დადგენილებისა და ამ დადგენილების განსავითარებლიდ გამო-
ცემული ა/ქსფსრ სხახლხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ოქტომბრის 1-ის და-
დგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სხახლხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ერთდროული გადასახადით იბეგრება ცველა ერთპიროვნული ხაგლებო
მეურნეობა, რომელიც 1934 წ. დაბეგრილია სასოფლო-სამეურნეო გადასახა-
დით, როგორც სოფლად, ისე იმ დაბებსა და ქალაქ-აგვილებში, სადაც 1934
წელს იძლევინგა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, ზემოსვანეთისა, ქვემო-
სვანეთისა, სეპსურეთისა და თიანეთის რაიონის სოფლების ხაშილისა და ბაჩალის
ერთპიროვნული ზრომითი მეურნეობების გამოკლებით.

2. ერთდროული გადასახადის განაცვეთები დაწესდეს შემდეგი რომ-
დენობით:

1) 1934 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგრილი ერთპი-
როვნული მეურნეობანი იხდიან ერთდროულ გადასახადს შემდეგი რომდე-
ნობით:

2) კულაკური მეურნეობანი იხდიან ერთდროულ გადასახადს 1934 სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 200 პროცენტის რაოდენობით.

3) ის მეურნეობანი, რომელიც ბორიოტეულად არ ასრულებენ მათთვის მიცემულ გეგმებს თესეისა და სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩამარებისას, დაიმტევებიან ერთდროული გადასახადით საერთო საფუძვლებზე, ხოლო მათთვის ამ გადასახადის თანხა გადიდებულ უნდა იქნეს ერთი-ორად.

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარისტანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის იგტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განსაზღვრონ და გამოაქვეყნონ სამი დღის ვადაზე 1934 წლის ერთდროული გადასახადის საბოლოო განაკვეთები ერთპიროვნეული შრომითი მეურნეობებისათვის რაიონობით და სოფლობით ამ გადასახადის განაკვეთების ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია ამა დადგენილების მე-2 მუხლით.

4. ერთდროული გადასახადის გადახდისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი ვადები:

ა) ერთპიროვნული შრომითი მეურნეობებისათვის:

1-ლი ვადა—1934 წ. ნოემბრის 5—ერთდროული გადასახადის განაკვეთის 50 პროცენტი, მე 2 ვადა 1934 წ. დეკემბრის 5—ერთდროული გადასახადის განაკვეთის 50 პროცენტი;

ბ) კულაკური მეურნეობებისათვის—1934 წ. ნოემბრის 5—ერთდროული გადასახადის 100 პროცენტი.

5. უკეთუ გადასახადი გადახდილ არ იქნა დაწესებულ ვადაზე, სასოფლო საბჭო მოვალეა შეუფარდოს არაგადამხდელთ იძულებითი გადახდევინების ღონისძიებანი გადასახადების ნარჩენთა გადახდევინების კანონის სრული შესაბამისობით.

6. ერთდროული გადასახადისაგან განთავისუფლდებიან:

ა) იმ მუზათა და მოსამსახურეთა მეურნეობანი, რომელიც აწარმოებენ მეურნეობას საკარმილით მიწაზე, და რომელთაც ჰქონდეთ ერთი ძრობა, წვრილ-ფეხა საქონელი, აქეთ სათიბები, ხოლო რომელთაც არა აქეთ სამინდვრე მიწა და არა ჰყავთ მუშა-საქონელი, უკეთუ სამუშაო ხელფასი ძირითადი წყარო მათი შემოსავლისა;

ბ) კოლმეურნეთი მეურნეობანი;

გ) გრიბედოვნების გამო 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი-საგან განთავისუფლდებული ერთპიროვნული მეურნეობანი;

დ) მეურნეობანი, რომელთა შედეგნილობაშიაც შედიან:

1) საბჭოთა კაშირის გმირები, სსრების ორგანიზებით ან საპატიო რევოლუციონური იარაღით დაჯილდოებული პირი და შრომის გმირები;

2) საკარო მერიეთა და გადიანი (შეუშებილელი) ან ზევადიანი სამსახურის უმცროს თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახურნი, 1934 წლის შემოდგომაზე გაწვეულთა გამოუქცევლივ;

<p>აფრონომიური რესპუბლიკის, აფრონომიური ოლქის და რაიონების სახელმწიფო მოწყვეტილება.</p>	<p>1934 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მტკი-ცე განკვეთებებით დაბეჭოლი ერთპიროვნული მეურნეობანი.</p>			
	<p>მეურნეობანი, რომელთაც არა ჰყავთ მუშა-საქონელი და არა აქვთ საბაზრო შემოსავალი.</p>	<p>მეურნეობანი, რომელთაც არა ჰყავთ მუშა-საქონელი, ხოლო რომელთაც აქვთ საბაზრო შემოსავალი.</p>		
<p>1. აფრანეთის ასსრ, აჭარის-ტანის ასსრ და სამხრეთ-ოსე-თის აფტ. ოლქი</p>	15—25 მან.	35—50 მან.	60—80 მან.	
<p>2. ბორჩალის, წალკის, თიანე-თის, ყაზბეგის, ღუშეთის, ახალ-ჯალაქის, ბოგდანოვის, ახალ-ციხის, აფიგენის, ასპინძის, ჭა-თურის, ტყიბულის, ჩიხარის, ცა-გდერის, ხორაგორულის, ჩხორო-წყეს, ჭალერჯიხის, ფოთის რაი-ონები</p>	15 მან.	35 მან.	60 მან.	
<p>3. კარაიას, ბაშკიჩეთის, საგა-რეჯოს, ალბულაბის, თელავის, ლაგოდების, გორის, ბორჯომის, კასპის, სტალინის, ქუთაისის, ზესტაფონის, სამტრედიის, ამბ-როლაურის, განის, ონის, ხონის, სენაკის, მარტვილის, აბაშის, ხო-ბის ჩოხატაურის,</p>	20 მან.	40 მან.	70 მან.	
<p>4. ტფილისის, ლუქსემბურგის, სიღნაღის, გურჯაანის, კვარლის, ბადადადის, სუგდიდის, ოზურგე-თის, ლანჩჩუთის რაიონები . . .</p>	25 მან.	50 მან.	80 მან.	

შემთხვევა. ის მეურნეობანი, რომელთაც ჰყავთ მუშა-ცხენი, რასაც ისინი სასოფლო-75 მანებისა მეურნეობასწერ.

1934-წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის პრ ოგრესის ული განაცვლებით დამტკიცილი ერთპიროვნული მეურნეობაა.

მეურნეობანი, რომელთაც არა ჰყავთ
მუშა-საქონელი. და არა აქვთ საბაზრო
შემოსახული.

მეურნეობანი, რომელთაც ჰყავთ მუშა-საქონელი ან აქვთ საბაზრო შემოსავალი.

1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნაკვეთის 100-140%, ხოლო არა ნაკლებ ერთოვლით გადასახადის განაკვეთისა, რაც დადგენია საონარო მეურნეობებისათვის, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადს მტკიცებავს.

1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 80%, ხოლო არა ნაკლებ 15 მანეთისა.

1934 წლის სასოფლო-სამეურნეო განაკვეთის
100%, ხოლო არა ნაკლიბი:

1) 35 მან.—იმ გეურენჯობისათვის, რომელსაც
აქვს საბაზრო შემოსავალი, ხოლო არა პყავს მუშა-
საქონილი:

2) 60 მან.—იმ მეურნეობისათვის, რომელსაც
ჰყავს მუშა-საქონელი.

1934 წლის სასოფლო-სამეურნეო
გადასახადის განაკვეთის 90%, ხოლო
არა ნაკლებ 20 მარტისა.

1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის
განაკვეთის 120%, ჩოლო არა ნაკლი:

1) 40 მან.—იმ მეურნეობისათვის, ომეულსაც
აქვთ საბაზო შემოსავალი, ხოლო არა ჰყავს
მუშა-საჭიროობა:

2) 70 მან.—იმ მეურნეობისათვის, რომელ-
საც ჰყავს მუშა-საჭრნელი.

1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 100% , ხოლო არა ნაკლები 25 მანითისა.

1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 140% , ხოლო არა ნაკლებ:

1) 50 ბან.—იმ მეურნეობისათვის, ორმედსაც
აქებს შეკვეთავალი, ხლოლ არა ჰყავს მუშა-საჭიროები.
2) 80 ბან.—იმ მეურნეობისათვის, ორმედსაც
ჰყავს მუშა-საჭიროები.

სამეცნიერო ან ჟიდვის სამუშაოებზე იყენებენ, ერთდროულ გადასახადს ისდიან არა წაკლობი

3) მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საკადრო და რეზერვში მყოფი სისტემა შუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შეღვენილობის სამხელო მსახური;

4) უმცროს საკომინდო შედგენილობის სამხედრო მსახურნი, რომელნიც გრძელვადიანი შევბულებიდან გაღარიცხულ არიან ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შედგენილობაში;

5) ბუშათა და გლეხთა წითელი არმიის გრძელვადიან შვებულებაში, სა-
თადარიგოდ ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად ჰელენლობაში მყოფი
საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენალობის პირი, რომელნიც
„თავდაცვა-ავიაქიმის“ ორგანიზაციების საშტატო მომუშავეების სახით ანხორ-
ციელებები შმინკმელთა სამხედრო მომზადებას;

6) ყოფილი წითელგვარდიელნი და წითელი პარტიზანები;

7) განსაკუთრებული სახელწილიუობრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოთა და ნაგებობათა გამხედროებული დაცვისა და გამხედროებული სახანძრო დაცვის სამწყობრივ და სააღმინტისრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირზე, მუშაობა და გლეხთა მილიციის ოპერატორულ-სამწყობრო და სააღმინტისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირზე და ოგრეთვე შრომა გასწორების დაწესებულებათა ოპერატორული და სააღმინტისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირზე;

8) የወስና ፖስ ማመልከት አንቀጽ በቃረም የመግለጫውን
ሚሸፍነውን መፈጸም ምክንያት የሚያሳይበት ይችላል;

ე) კულაეური შურისძიებისაგან დაზარალებულ სოფლელ აქტივისტთა ოჯახების მეურნეობანი და სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების დროს მოქლოლ სატურ მომზადეთა ოჯახების მეურნეობანი;

3) იმ პირთა ერთპიროვნული მეურნეობანი, რომელთაც თავიანთი თავი და-აკონტრაქტეს ან მიიღოვნეს სამთავ მრეწველობაში მიწის ქვეშ მუზაობისათვის ერთ წელიწადზე არა ნაკლები ვადით; იმ ერთპიროვნულ მეურნეობა მეურნეობანი, რომელიც 1934 წელს გადავიდენ საბჭოთა მეურნეობებში მუდმივ სამუშაოზე შრომის ხელშეკრულებით ვადით არა ნაკლებ სასოფლო-სამეურნეო სეზონისა; ვადასხმულებულთა მეურნეობანი, რომელიც განთავისუფლებულ არიან 1934 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან;

၆) სტიქიურ უბეღურებისაგან დაზარალებული და მის გამო 1934 წელს
სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებული ერთპიროვნული
მცურნეობანი.

7. უფლება შიეცეს სასოფლო საბჭოებს—გაანთავისუფლონ ხოლმე ერთ-დროული გადასახადისაგან მთლად ან ნაწილობრივ ცალკეული მცირებალოვანი ერთპიროვნული მეურნეობანი. მცირებალოვნების გამო გადასახადისაგან მთლად ან ნაწილობრივ. გასანთავისუფლებელ მეურნეობათა სიები სასოფლო საბჭოებში უნდა წარუდგინონ დასამტკიცებლად სარაიონო აღმასრულებელ კმიტეტს.

8. სარიანონ აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს მთლად ან ნაწილობრივ გაანთავისუფლოს ერთდროული გადასახადისაგან ის ერთპიროვნული მეურნეობანი, რომელთაც მუყაითად (სრულად და გადახ) შეასრულეს თავიან-

თი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე ფულადი გადასახდელისა და სასოფ-ლო-სამეცნიერო პროდუქტების სავალდებული ჩაბარების სფეროში.

9. შემოსული ერთობლივი გადასახადი მიიქცევა: 75 პროცენტი—სახელმწიფო ბიუჯეტში, 10 პროცენტი—საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში და 15 პროცენტი—სარაიონო ბიუჯეტებში.

10. ინსტრუქციის გამოცემა ამა დადგენილების შეფარდებისათვის დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ყურულაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს საქმეთა მთართველის მოადგილე გ. თაოეგშვილი.

1934 წ. ოქტომბრის 5

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გან. „კომუნისტის“ 232 №-ში 1934 წ. ოქტომბრის 6.

ჯანმრთელობის დაცვა

238. დადგენილება ც.პ.კ. და ს.კ.ს.

სნაიპერების შეღავათების შესახებ.

სნაიპერების წახალისების მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენერაცია დასრულდებოდა.

1. დაწესებულ იქნეს, რომ სნაიპერები და მათი შეიღები სასწავლებლებში შესვლის ღრუს მიიღებიან პირველ რიგში და, სხვა თანაბარი პირობებში, უზრუნველყოფილ უნდა იქნენ სახელმწიფო სტიპენდიებით უპირატესად სხვა პირებთან შედარებით.

2. დაწესებულ იქნეს, რომ სნაიპერებს ეძლევათ მცირექოლიბრიანი სანადირო თოფები პირველ რიგში.

3. სათანადო კანონებით სამხედრო მსახურთა ოჯახებისათვის დაუგენილი სახელმწიფო მრივი უზრუნველყოფა გადიდებულ იქნეს სნაიპერების ოჯახებისათვის ასი პროცენტით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მანარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ყურულაშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ულენტი.

1934 წ. სექტემბრის 11.

ტფილისი.

ხანონის და განკარგულების პრეზიდიუმის
უფასოდ დაგდაგნიხაოვის 1934 წელს

No რიცხვი	დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი	ცალების რიცხვი
1	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტ- რალურ აღმართულებელ კომიტეტებს	5
2	სარაიონო აღმართულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს .	2
3	სასოფლო საბჭოებს	1
4	საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათ თანაბარ ცენტრალურ სამმართველოებს	3
5	საქართ ლოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს	7
6	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს	2
7	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის იუს- ტიციის ცენტრალურ ორგანოებს	3
8	საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს.	12
9	აგრონომიური რესპუბლიკების და აგრონომიური ოლქის უმაღ- ლ და მთავარ სასამართლოებს	5
10	სახალხო სასამართლოებს	1
11	სარაიონო პროკურორებს	1
12	სახალხო გამომმიჯდლებს	1

უახ 40 კაბ.

შემომციცლები საქ სსრ. ხ.ქ. ხ-ობ 1934 წ. № 61 3/გ. რედაქტორი ვ. გაგამელი
საქმეთა მმართველობა საქმეთა მმართველობა 1934 წ. № 61 3/გ. რედაქტორი ვ. გაგამელი
ქალალდის ფორმატი 62X94 სახლ; 1¹/₄ ბეჭდვ- ფურც.; 1 ბეჭდვ- ფურც.; 48.500 სტამ. ნიშანი
გადატა სტამ. 11/X; ხელისწერილი დასაბეჭდდად 4/XI; ტრანზ. 1.600.
მთავ. რწმუნ. ს-№ 8702. საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამ. შეკ. № 1580